პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N

............ დეკემბერი, 2021 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2021 წლის 7 დეკემბრის N დ 45.45213412 რეკომენდაციის საფუძველზე,

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ბაქარ მახარაძეს, 2021 წლის 7 დეკემბრიდან, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, 2021 წლის 7 დეკემბრიდან შეუწყდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრისა და ამ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება.

**მუხლი 2.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში, კერძოდ:

1. შეიცვალოს განკარგულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან (17 წევრი):

ა) მხეიძე დიმიტრი;

ბ) ბასილაძე გია;

გ) ჩიხლაძე მანანა;

დ) ლილუაშვილი პაატა;

ე) ნიჟარაძე მარეხ;

ვ) სანიკიძე ლევან;

ზ) ჭოხონელიძე მერაბ;

თ) სიმონიძე მაია;

ი) ხამაშურიძე ბესიკ;

კ) ქებულაძე ბექა;

ლ) ჯუღელი თეა;

მ) მამასახლისი ზაქრო;

ნ) შენგელია ირაკლი;

ო) ნადირაძე თეიმურაზ;

პ) რიჟამაძე მამუკა;

ჟ) კოპალეიშვილი ამირან;

რ) კოსტავა მაგდა.“

2. შეიცვალოს განკარგულების მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ზაქრო მამასახლისი და დიმიტრი მხეიძე, რომელთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

თ.ჯუღელი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო
განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია